ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 11 09 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 254-ს

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

რექტორის 2018 წლის 18 ივლისის N238-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 18 ივლისის N238-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ და ბრძანების მე-2 პუნქტის დანართი N2 - შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრასთან მიმართებაში ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

2. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და

სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი N2

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომი სემესტრში შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2018 წლის 29 აგვისტო - 12 სექტემბერი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიის მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2018 წლის 3 – 13 სექტემბერი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2018 წლის 4 – 14 სექტემბერიი;

დ) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2018 წლის 17 სექტემბერი.